



Nadareishvili St. 66 • 0136 Tbilisi/Georgia • Tel: +995 599 450 000 • Mail: levan.vachnadze@geopro.ge • ID: 405247996

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	92,875	112,207	75,767
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	334,570	443,519	416,788
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	239,706	141,003	203,773
მზა პროდუქცია	239,706	141,003	175,375
სხვა	0	0	28,398
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	225,354	205,662	318,677
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1,815,403	2,012,913	2,190,997
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2,707,908	2,915,304	3,206,002
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	300,604	322,827	166,257
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	289	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	5,431	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	105,000	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	348,078	1,057,751	1,779,190
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	3,902	0	0
სულ ვალდებულებები	757,873	1,386,009	1,945,447
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	4,998,180	3,046,171	2,347,679
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-3,048,145	-1,516,876	-1,087,124
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1,950,035	1,529,295	1,260,555
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,707,908	2,915,304	3,206,002
სულ მოკლევადიანი აქტივები	892,505	902,391	986,807
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	394,137	328,229	137,070

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ლევან ვაჩნაძე

ვიქტორ პაპაშვილი



Nadareishvili St. 66 • Q136 Tbilisi/Georgia • Tel: +995 599 450 000 • Mail: levan.vachnadze@geopro.ge • ID: 405247996

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)**

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	427,625	1,038,573
საქონლის გაყიდვიდან	427,625	1,038,573
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-655,896	-1,478,537
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	-228,271	-439,964
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5,137	2,540
დასაქმებულთა ანაზღაურება	-159,002	-118,966
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-198,807	-195,634
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-51,066	-83,738
იჯარის ხარჯი	-14,400	-14,400
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-257,122	-319,011
სულ საოპერაციო ხარჯები	-675,260	-729,209
საოპერაციო მოგება	-903,531	-1,169,173
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	46,770	64,913
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-856,761	-1,104,260
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-856,761	-1,104,260
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-856,761	-1,104,260
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,529,295	1,260,555
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	1,277,501	1,373,000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,950,035	1,529,295

დირექტორი

ლევან ვაჩნაძე

მთ. ბუღალტერი

ვიქტორ პაპაშვილი



Nadareishvili St. 66 • 0136 Tbilisi/Georgia • Tel: +995 599 450 000 • Mail: levan.vachnadze@geopro.ge • ID: 405247996

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-659,470	1,045,581
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,278,145	-344,377
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-623,276	-649,559
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-4,601	51,645
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-14,731	-15,205
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	112,207	75,767
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	92,875	112,207

დირექტორი

ლევან ვაჩნაძე

მთ. ბუღალტერი

ვიქტორ პაპაშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს გეოპროვიქენი დაარსდა 2018 წელს. საწარმო შეიქმნა ევროკავშირში შინაური ბინადარი ცხოველის საკვების ექსპორტის მიზნით, რომელიც დაექვემდებარება მთლიან პროდუქტში 900C ტემპერატურაზე დამუშავებას. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი პროდუქტის ძირითადი ნედლეული არის ქათმის ხორცი, ევროპაში ექსპორტის ნებართვისთვის საჭირო იყო Commission Regulation (EU) No 142/2011-ის მიხედვით საქართველოს და შპს გეოპროვიქენის აღიარება, როგორც მესამე ქვეყნის საწარმო (Third Country Establishments).

შპს გეოპროვიქენი არის პირველი ქართული ხორცის გადამამუშავებელი საწარმო, რომელმაც მიიღო ევროკავშირის აღიარება. ამისათვის არსებობდა რამდენიმე წინაპირობა:

1. კომპანიას უნდა ჰქონოდა სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა (ISO 22000)

2. კომპანიას უნდა ჰქონოდა აღიარება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.

3. საქართველოს მთავრობას უნდა ჰქონოდა შესაბამისი რეგულაციები- ტექნიკური რეგლამენტი: „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესები“

2018 წელს კომპანიამ ამ მიზნის განსახორციელებლად დაიწყო ექსპერიმენტულ რეჟიმში მუშაობა, რათა მიეღო სურსათის ეროვნული სააგენტოს, და საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანიზაციის TÜV SÜD Management Service GmbH-ის სერტიფიკატი ISO 22000.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის იანვრამდე კომპანიამ დაწერა და შექმნა ჩანაწერები ბიზნეს-ოპერატორად აღიარების პროცესისთვის და ISO 22000-ის სერტიფიცირებისთვის. სურსათის ეროვნული სააგენტოს აუდიტი განხორციელდა 2019 წლის 10 იანვარს. თვრამეტ იანვარს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის N533 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მ/წ 10 იანვარს განხორციელებული ინსპექტირების (შესაბამისობის შეფასების აქტი N 01) შედეგად მოგვენიჭა აღიარება- აღიარების ნომრით GE 01.10.92.0.0001

თვრამეტი იანვრის შემდეგ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით მომზადდა განაცხადი საქართველოს და შპს გეოპროვიქენის ევროკავშირის აღიარების პროცესისთვის.

ამ პროცესში 2019 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ეწვია ევროკავშირის აუდიტორი და განხორციელა რამდენიმე დღიანი აუდიტი: სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბაჟო სამსახურის, აკრედიტებული ლაბორატორიების და ჩვენი კომპანიის. კომისიამ ჩაატარა ადგილზე კონტროლი, მათ შორის, ქვეყნის ვეტერინარული კანონმდებლობის სიღრმისეული შეფასება, კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობები ამ კანონმდებლობის და ოფიციალური კონტროლის განსახორციელებლად.

აუდიტის შემდეგ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ევროკომისიის მიერ იქნა განხილული საქართველოს და შპს გეოპროვიუენის მესამე ქვეყნის საწარმოდ აღიარების საკითხი.

Ursula VON DER LEYEN-ის მიერ 2020 წლის 17 ნოემბრის დადგენილების COMMISSION REGULATION (EU) 2020/1720 of 17 November 2020 amending Regulation (EU) No 142/2011 as regards imports of petfood from Georgia მიხედვით საქართველო დაემატა ეროკავშირის მესამე ქვეყნების რიცხვს. ეს რეგულაცია ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს. ამის შემდეგ შპს გეოპროვიუენი 2020 წ. 09 დეკემბერს ოფიციალურად დაემატა ევროკავშირის მესამე ქვეყნების აღიარებული საწარმოების სიას. ამის შემდეგ კომპანიამ შეძლო განეხორციელებინა პირველი ექსპორტი ევროკავშირის მიმართულებით 2021წ 5 თებერვალს.

როგორც უკვე ზემოთ ავლნიშნეთ შპს გეოპროვიუენი 2018 წლიდან აწარმოებს შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილ საკვებს. პროდუქცია მთლიანად განკუთვნილია ექსპორტზე გასატანად.

კომპანიის ფიზ. მისამართი: ქ. თბილისი გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა 66, სადაც ხდება იმპორტით შემოტანილი, ან ადგილზე ნაყიდი ნედლეულის ძირითადი ოპერაციები. საწარმოში ხორციელდება პირვანდელი სახის გადამუშავება, კერძოდ: გაღობვა, ჭრა, დამუშავება, გამოშრობა, დაყოვნება და შეფუთვა რის შედეგადაც მიიღება მზა პროდუქცია - შინაური ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების სახით. ექსპორტზე გასატანად შეუსაბამო ნედლეულის მცირედი ნაწილის რეალიზაცია ხორციელდება ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნულ მისამართზე, კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს გრძელვადიანი აღნაგობის უფლების ხელშეკრულების საფუძველზე (05.04.2018).

2. კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო

კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს - მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის. წარმოებული პროდუქციის 100% გადის ექსპორტზე ევროკავშირის წევრ ქვეყანაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 მომზადების საფუძვლები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2022 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

დოლარი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის 2.7020

ევრო 2022 წლის 31 დეკემბრისთვის 2.8844

3.3 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით. პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

3.4 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.5 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები 20 წელი

დანადგარები და სხვა აღჭურვილობა 8-10 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი

ავეჯი და სხვა აღჭურვილობა 3-6 წელი

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

3.9 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებსა და აქტივითვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

3.12 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

3.13 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულება მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

3.14 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებსა და ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყიდად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

3.15 სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

3.16 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული

საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

3.17 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3.18 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული

ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

3.19 ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

3.20 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	შენობა	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ფინანსური იჯარით მიღებული ქონება	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ აქტივები
31 დეკემბერი 2021				1,265,848		1,240,782	5,197	84,383				2,596,210
შემოსვლა						17,338	1,297					18,635
გადაფასება												
გასვლა						-						-
31 დეკემბერი 2022				1,265,848		1,258,120	6,494	84,383				2,614,845
31 დეკემბერი 2021 დაგროვილი ცვეთა				(189,878)		(380,916)	(2,988)	(26,853)				(600,635)
პერიოდის ცვეთა				(63,292)		(125,812)	(1,202)	(8,501)				(198,807)
გასვლა												
31 დეკემბერი 2022 დაგროვილი ცვეთა				(253,170)		(506,728)	(4,190)	(35,354)				(799,442)
წმინდა საბალანსო ღირებულება												
31 დეკემბერი 2021				1,075,970		859,866	2,209	57,530				1,995,575
31 დეკემბერი 2022				1,012,678		751,392	2,304	49,029				1,815,403

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2022	01.01.2022
ნედლეული და მასალები	187 651	145 778
დამხმარე მასალები	0.00	1 737
მზა პროდუქცია	239 706	141 003
სხვა მოკლევადიანი აქტივები	37 703	58 147
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	465 060	346 665

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2022	01.01.2022
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	305 416	350 038
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	1 653
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	29 154	84 579
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	334 570	436 270

8. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიამ 2020 წლის 2 აპრილს სს „თიბისი ბანკისგან“ მიიღო გრძელვადიანი სესხი, სესხის თანხა შეადგენს 623 000 აშშ დოლარს, საპროცენტო განაკვეთი 5,5 %. სესხის ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 5 ივლისამდე. ასევე 2022 წლის 31 აგვისტოს კომპანიამ იურიდიული პირისგან მიიღო სესხი, სესხის თანხამ შეადგინა 105 000 ლარი, საპროცენტო განაკვეთი 15 %. სესხის ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 31 ივლისამდე.

	31.12.2022	01.01.2022
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	348 078	1 057 751
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	105 000	0 00
სულ სავაჭრო და გრძელვადიანი ვალდებულებები	453 078	1 057 751

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2022	01.01.2022
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	300 604	322 827
სულ სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები	300 604	322 827

10. საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის ძირითად საქმიანობას და შემოსავალს რეალიზაციიდან წარმოადგენს მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის და მისი ექსპორტი.

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები რეალიზაციიდან	422 895	1 019 774
სხვა საოპერაციო შემოსავლები	4 730	18 799
სულ საოპერაციო შემოსავლები	427 625	1 038 573

11. თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
პირდაპირი ხელფასი	268 519	327 947
ძირითადი მასალების დანახარჯი	358 105	1 130 875
დამხმარე მასალების ხარჯი	28 267	4 094
სხვა საოპერაციო ხარჯები	1 005	15 621
სულ თვითღირებულება	655 896	1 478 537

12. სხვა შემოსავლები

	2022 წელი	2021 წელი
სხვადასხვა არასაოპერაციო შემოსავლები	3 562	41 591
	-	-
სულ სხვა შემოსავლები	3 562	41 591

13. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
ადმინისტრაციის ხელფასი	159 002	118 966
კომუნალური ხარჯი	99 642	119 966
იჯარის ხარჯი	14 400	14 400
დაზღვევა	10 824	8 002
რემონტის ხარჯი	8 426	-
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	5 114	13 221
საკონსულტაციო ხარჯები	14 141	14 383
ცვეთა და ამორტიზაცია	198 807	195 634
საკანცელარიო ხარჯები	438	930
ბანკის საკომისიო	721	611
სამივლინებო ხარჯი	-	-
სხვა საერთო ხარჯი	95 651	139 851
საპენსიო ხარჯი	6 507	7 052
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	613 673	633 016

14. მიწოდების ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	-	-
ტრანსპორტირების ხარჯი ექსპორტზე	15 657	14 994
სულ მიწოდების ხარჯები	15 657	14 994

15. სხვა ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	46 770	60 417
მოგების გადასახადი	-	-
სულ სხვა ხარჯები	46 770	60 417

16. სასამართლო დავები

სასამართლო დავებიდან ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. სასამართლო დავის შედეგები დამოკიდებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობაზე.

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დირექტორზე გაცემულმა ხელფასმა 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 6568.00 ლარი.

დამფუძნებლებზე გაცემულმა დივიდენდებმა 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 0.00 ლარი.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში დივიდენდის სახით გაცემულია 0.00 ლარი.